



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 618

თბილისი

17 05 2019 წ.

2019-2020 სასწავლო წელს სექტორების შესაბამისად საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის დამატებითი ვადის დადგენის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტებისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვარის N04/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 15 მაისის N569640 და 2019 წლის 16 მაისის N583674 მოხსენებითი ბარათების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2019-2020 სასწავლო წელს სექტორების შესაბამისად საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის დამატებით ვადად დადგინდეს 2019 წლის 17 ივნისი შემდეგი სკოლებისთვის:
 - ა) სსიპ არიფ ალიევის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტალავერის N1 საჯარო სკოლა;
 - ბ) სსიპ ქალაქ ყვარელის N2 საჯარო სკოლა;
 - გ) სსიპ ქალაქ ნინოწმინდის N2 საჯარო სკოლა;
 - დ) სსიპ ქალაქ თბილისის N186 საჯარო სკოლა;
 - ე) სსიპ მიხეილ გრუშევსკის სახელობის ქალაქ თბილისის N41 საჯარო სკოლა.
2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

მიხეილ გიორგაძე
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი